



ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №---

2020 წლის --

ქ. ლაგოდები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის
უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფელ კაბალში მდებარე 3464.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ: 54.10.57.680) - სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცეს უსასყიდლოდ.

მუხლი 2

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია